

# ტესტი ისტორიაში

I ვარიანტი

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



**ინსტრუქცია დავალებებისათვის №1-24.** თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. ისტორიის რომელი დარგი შეისწავლის ილუსტრაციაზე წარმოდგენილ არტეფაქტს?



- ა. ბონისტიკა;
- ბ. ნუმიზმატიკა;
- გ. ფალერისტიკა;
- დ. გლიპტიკა.

(1) 2. რომელ კულტურას განეკუთვნება ილუსტრაციაზე წარმოდგენილი ოქროს თასი?



ა. მტკვარ-არაქსის;

ბ. თრიალეთის;

გ. კოლხურს;

დ. ყობანურს.

(1) 3. რომელი მეფის ბრძანებით შეიქმნა ილუსტრაციაზე წარმოდგენილი ბეჰისტუნის ცნობილი წარწერა?



ა. ასურბანიფალის;

ბ. ტიგლათფილესერ I-ის;

გ. დარიოს I-ის;

დ. ჰამურაბის.

(1) 4. რომელი ინფორმაცია არ არის მართებული არისტოტელეს თაობაზე?

ა. იყო ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი;

ბ. ათენში დააარსა საკუთარი სკოლა - „ლიცეუმი“;

გ. მონაწილეობდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაარსებაში;

დ. სიცოცხლის ბოლოს იძულებული გახდა ათენი დაეტოვებინა.

(1) 5. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა პელოპონესის ომის შედეგი?

- ა. ათენის დამარცხებამ ქერონეის ბრძოლაში;
- ბ. კორინთოს საზღვაო კავშირის დაშლამ;
- გ. სპარტელთა მოკავშირეობამ სპარსელებთან;
- დ. სიცილიაში სამხედრო ექსპედიციის ჩაშლამ.

(1) 6. რომის ისტორიის რომელი ხანა იწოდება პრინციპატად?

- ა. პრესტორიული, როდესაც მოღვაწეობდა ლეგენდარული რომულუსი და იწყება ქალაქ რომის გაძლიერება;
- ბ. მეფეთა მმართველობის ბოლო პერიოდი, რომელიც ტარკვინიუს ამაყის მოღვაწეობით მთავრდება;
- გ. რესპუბლიკის შესუსტების, რომელიც კეისრის ერთპიროვნული მმართველობის დამყარებით სრულდება;
- დ. იმპერიის ადრეული პერიოდი, რომელიც ოქტავიუს ავგუსტუსის მმართველობით იწყება.



(1) 7. სხვა ფაქტებთან ერთად, რა ადასტურებს ქართლის სამეფოს გაძლიერებას I საუკუნის 30-იან წლებში?

ა. ალბანეთში ქართველი უფლისწული გამეფდა;

ბ. ლაზიკის სამეფო ქართლის მეფის ვასალი გახდა;

გ. ალანებმა ხარკის გადახდით ქართლის მეფის ვასალობა აღიარეს;

დ. სომხეთის ტახტი ქართლის სამეფო ოჯახის წარმომადგენელმა დაიკავა.

(1) 8. რომელი მსჯელობაა მართებული XI საუკუნეში მომხდარი დიდი სქიზმის შესახებ?

- ა. დაპირისპირება რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შორის გამოწვეული იყო არა მხოლოდ რელიგიური, არამედ პოლიტიკური საკითხებითაც;
- ბ. პოლიტიკური კონფლიქტი საღვთო რომის იმპერატორსა და ბიზანტიის იმპერატორს შორის ნელ-ნელა მწვავე რელიგიურ დაპირისპირებაშიც გადაიზარდა;
- გ. დოგმატური კონფლიქტი ათონის მთაზე მოღვაწე ბერებსა და ფრანცისკელთა ორდენს შორის კამათით დაიწყო და პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა;
- დ. რომის იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის არსებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა განსხვავებამ რელიგიური კონფლიქტიც გამოიწვია.

(1) 9. რომელი სრუტის სახელწოდება უკავშირდება არაბთა დაპყრობებს?

ა. მესინის;

ბ. ბოსფორის;

გ. გიბრალტარის;

დ. დარდანელის.

(1) 10. რომელი ინფორმაცია არ არის მართებული საქართველოს მეფე გიორგი II-ის მეფობის შესახებ?

ა. მეფემ ფარცხისტან დაამარცხა სელჩუკები;

ბ. გარკვეული დროით დაიკავა კარის ციხე-ქალაქი;

გ. შემოიერთა კახეთ-ჰერეთი;

დ. დაუზავდა სელჩუკთა სულთანს.

(1) 11. ხორუმელთა რა ქმედება გამოიყენა საბაბად ჩინგიზ-ყაენმა მათ სახელმწიფოზე თავდასასხმელად?

ა. მის ქვეშევრდომ ვაჭართა დიდი ჯგუფის დახოცვა;

ბ. მოსაზღვრე ქალაქებზე თავდასხმა და ძარცვა;

გ. ყოველწლიური ხარკის გადახდის შეწყვეტა;

დ. მეტოქე მონღოლ ბელადებთან მოლაპარაკება.

(1) 12. რა ისტორიული მოვლენაა ასახული წარმოდგენილ ილუსტრაციაზე?



- ა. ბართლომეს ღამე;
- ბ. კონსტანტინოპოლის დაცემა;
- გ. ჟანა დ'არკის შესვლა ორლეანში;
- დ. იერუსალიმის აღება ჯვაროსანთა მიერ.

(1) 13. რით იყო გამორჩეული VII ჯვაროსნული ლაშქრობა სხვა ჯვაროსნული ლაშქრობებისაგან?

ა. მხოლოდ ამ ლაშქრობისას გამოიყენეს პორტუგალიის მეფის ფლოტი;

ბ. პირველად და უკანასკნელად ლაშქრობაში მონაწილეობდა გერმანიის იმპერატორი;

გ. ბრძოლაში დაიღუპა ლეონისა და კასტილიის მეფე;

დ. ლაშქრობის მეთაური საფრანგეთის მეფე ტყვედ ჩავარდა.

(1) 14. რა უკავშირდება ინგლისის მეფის, ჰენრი VIII-ის, სახელს?

- ა. ესპანელთა დამარცხება და „უძლეველი არმადის“ განადგურება;
- ბ. „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღება და პირველი პარლამენტის მოწვევა;
- გ. ამერიკის კონტინენტზე პირველი ინგლისური ექსპედიციის გაგზავნა;
- დ. რომის პაპთან ურთიერთობის გაწყვეტა და ინგლისის ეკლესიის სათავეში ჩადგომა.



(1) 15. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა თემურ ლენგის პირველი ლაშქრობა საქართველოში?

ა. თოხთამიშის ლაშქრობამ ჩრდილოეთ ირანში სამხრეთ კავკასიის გავლით;

ბ. სულთან ბაიაზიდ I-ის მიერ ბაღდადის აღებამ საქართველოს სამეფო კართან შეთანხმებით;

გ. ქართული ჯარის მიერ მეზობელი მუსლიმური სახელმწიფოების დაპყრობამ;

დ. საქართველოს მეფის უარმა, თემურ ლენგისთვის გადაეცა ხორეზმის უფლისწული.

(1) 16. რომელმა სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა ტენორტიტლანის დაცემით 1521 წელს?

ა. აპაჩების;

ბ. ინკების;

გ. აცტეკების;

დ. მაიას.

(1) 17. რა იყო ოლივერ კრომველის მმართველობის დროს ინგლისისა და ნიდერლანდების ომის მიზეზი?

- ა. კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის დაპირისპირება;
- ბ. წიაღისეულით მდიდარი ფლანდრიის დაპყრობის მცდელობა;
- გ. მსოფლიო ზღვებზე პირველობის მოპოვების სურვილი;
- დ. მმართველობის მონარქიული და რესპუბლიკური ფორმების შეუთავსებლობა.

(1) 18. რომელი მსჯელობაა მართებული მოცემული პეგლის შესახებ?



- ა. მთავარანგელოზის ტაძარი აგებულია კახეთის მეფე ლევანის მიერ, რომელიც იქვეა დაკრძალული;
- ბ. წმინდა გიორგის ეკლესია და სამეფო სასახლე აიგო კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის ბრძანებით;
- გ. ღვთისმშობლის მონასტერი აღადგინეს და სამრეკლო ააშენეს ერეკლე II-მ და დედოფალმა დარეჯანმა;
- დ. წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია აშენდა და მოიხატა კახეთის მეფე კვირიკე დიდის მიერ.

(1) 19. სოლომონ I-ის რომელი წამოწყება დასრულდა წარუმატებლად?

ა. ოსმალური გარნიზონების იმერეთიდან განდევნა;

ბ. ლაშქრობა ქობულეთის მიმართულებით;

გ. განმდგარი რაჭის ერისთავის დამორჩილება;

დ. აფხაზთა საკათალიკოსოს რეფორმირება.

(1) 20. სამხრეთ კავკასიაში მომხდარმა რომელმა მოვლენამ შეუწყო ხელი რუსეთის ჯარს, ჩაეხშო კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით მიმდინარე აჯანყება?

- ა. სულეიმან ფაშას დამარცხებამ და რუსების მიერ ახალციხის აღებამ;
- ბ. რუსებთან ბრძოლაში აბას-მირზას დამარცხებამ;
- გ. რუსული ჯარის მიერ შამილის წინააღმდეგობის გატეხვამ;
- დ. სოლომონ II-ის აჯანყების დამარცხებამ და მეფის განდევნამ.

(1) 21. რომელი მსჯელობაა მართებული საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე?

- ა. სსრკ-ში შეყვანის მეორე წელს საქართველოს სსრ გაერთიანეს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში;
- ბ. საქართველოს სსრ ჯერ გაერთიანდა კავკასიის კონფედერაციაში და შემდეგ შეუერთდა ახლადშექმნილ სსრკ-ს;
- გ. საქართველოს სსრ შეიყვანეს ამიერკავკასიის სსფრ-ში, რომელიც, თავის მხრივ, იყო სსრკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი;
- დ. სსრკ-ის მხრიდან საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის შემდგომ იგი იძულებით შეიყვანეს ამ გაერთიანებაში.

(1) 22. რა მოიმოქმედა მუსოლინიმ მიუნხენის კონფერენციის შემდეგ?

ა. დაიპყრო ეგვიპტე;

ბ. ჯარით შეიჭრა ალბანეთში;

გ. აღიარა ვატიკანის დამოუკიდებლობა;

დ. შეწყვიტა ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩარევა.



(1) 23. რამ მისცა ბიბგი 1956 წელს ე. წ. სუეცის კრიზისის წარმოქმნას?

- ა. ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციამ;
- ბ. გაეროს მიერ სამხედრო გემებისთვის სუეცის არხის დაკეტვამ;
- გ. აშშ-ის მცდელობა, მოეპოვებინა პრივილეგია არხით სარგებლობისას;
- დ. სსრკ-ის სურვილმა, სრულად გაეკონტროლებინა სუეცის არხი.

(1) 24. რა იყო 1979 წელს ავღანეთის ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი?

ა. ხელისუფლებაში მოძრაობა „თალიბანის“ მოსვლა;

ბ. ნატოს ჯარების შეყვანა ავღანეთში;

გ. ალ-ქაიდას ტერორისტული აქტი ნიუ-იორკში;

დ. სსრკ-ის სურვილი, მოეპოვებინა სრული გავლენა ავღანეთში.

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 25-28.**

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები მათი განადგურების დროის მიხედვით.

1. ასურეთი

2. მიდია

3. ურარტუ

(1) 26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIV საუკუნის საფრანგეთში განვითარებული მოვლენები.

1. ჟაკერია
2. ასწლიანი ომის დასაწყისი
3. ვალუების დინასტიის გამეფება

(1) 27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ იტალიის გაერთიანებასთან დაკავშირებული მოვლენები.

1. ვიტორიო ემანუელე II-ის იტალიის მეფედ გამოცხადება
2. ვენეციის ოლქის იტალიის შემადგენლობაში შესვლა
3. სოლფერინოს ბრძოლა

(1) **28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XIX საუკუნის საქართველოში განვითარებული მოვლენები.**

1. ბატონყმობის გაუქმება აღმოსავლეთ საქართველოში
2. გურიის აჯანყება
3. „მესამე დასის“ გამოსვლა ასპარეზზე

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 29.

მოსწავლეს აქვს რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისათვის.


მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხთაგან ორი (2) არასწორია.

თქვენ უნდა იპოვოთ ორივე შეცდომა, გადმოწეროთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე







კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

**მოსწავლისათვის დასმული კითხვები:**

**29.1.** რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები მოცემულ რუკაზე?

**29.2.** რუკის მიხედვით, რომელ წლებში მიმდინარეობდა აღნიშნული საომარი მოქმედებები?

**29.3.** რუკის მიხედვით, რომელმა სახელმწიფომ განახორციელა სამხედრო აგრესია?

**29.4.** რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფო დამარცხდა ამ ომში?

**29.5.** რუკის მიხედვით, რაში გამოიხატა აღნიშნული მარცხი?

**29.6.** რომელმა სახელმწიფოთაშორისმა ხელშეკრულებამ გაუხსნა გზა აღნიშნულ სამხედრო აგრესიას?

**მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:**

**29.1.** ფინეთის

**29.2.** 1939-1940

**29.3.** რუსეთის ფედერაციამ

**29.4.** ფინეთი

**29.5.** მოხდა ფინეთის სრული ოკუპაცია

**29.6.** მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტმა

### ინსტრუქცია დავალებისათვის № 30.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. გაითვალისწინეთ, რომ სამივე ილუსტრაციაზე ასახულია ერთი ისტორიული პროცესის სამი ეპიზოდი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალება 30.



N1



N2



N3

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

სამივე ილუსტრაცია ეხება ერთ ისტორიული მოვლენას, რომელიც პირობითად შეიძლება დავეყოს სამ ეტაპად: პირველი (საწყისი), მეორე (შუა), მესამე (ბოლო).

### კითხვები:

(2) **30.1.** ილუსტრაციებზე ასახული ისტორიული მოვლენის რომელი ეტაპია ასახული N1 ილუსტრაციაზე? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.

(2) **30.2.** რომელი სახელმწიფოების წარმომადგენლები არიან გამოსახული 1939 წელს გადაღებულ N2 ილუსტრაციაზე და რომელი სამხედრო კამპანიის შემდეგ?

(2) **30.3.** N3 ილუსტრაცია ადასტურებს ერთ-ერთი მეომარი სახელმწიფოს წარმატებას ომის გარკვეულ ეტაპზე. დაასახელეთ ეს სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს წარმატება დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.

(1) **30.4.** დაასახელეთ ერთი კონკრეტული საგაკვეთილო თემის სათაური, რომლის დროსაც გამოიყენებდით სამივე ილუსტრაციას.

ინსტრუქცია დავალებისათვის №31. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



## რუსეთის არმია 1913 წელს. ამონარიდები გერმანიის გენერალური შტაბის მოხსენებიდან

მანჯურიაში ომის შემდეგ რუსეთში შეინიშნება სამხედრო საქმის აღმავლობა. სახელმწიფოს სწრაფი ეკონომიკური წინსვლის გამო გაჩნდა შესაძლებლობა, რათა არმიისთვის გამოყოფილიყო რესურსები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა სახელმწიფოების დანახარჯებს თავდაცვაზე. ამიტომ შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ აღმოფხვრილიყო მატერიალური აღჭურვის პრობლემები, რომლებიც ომით იყო გამოწვეული, არამედ არმია შეიარაღებულიყო და მომარაგებულიყო თანამედროვე სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით და ამ გზით გათანაბრებოდა დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების არმიების დონეს.

ხელფასებისა და პენსიების გაზრდით მოხერხდა ოფიცერთა კორპუსის გაახალგაზრდავა და რაოდენობრივი ზრდა. გერმანული საორგანიზაციო პრინციპების შემოღებამ უზრუნველყო თითქმის არარსებული უნტერ-ოფიცერთა კორპუსის შექმნა.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

რუსეთის გენერალური შტაბის მიერ, ომის შემდეგვე შექმნილი გეგმის მიხედვით, განხორციელდა არმიის ძირეული რეორგანიზაცია. საფუძვლიანად შეიცვალა წესდებები. ამ დროს გაითვალისწინეს საფრანგეთის და, უფრო მეტად, გერმანიის გამოცდილება, რომლებიც მოერგო რუსეთის თავისებურ პირობებს.

სამხედრო საქმის ეს აღმავლობა რუსეთში შეზღუდულია რუსი ხალხის ნაკლოვანებებით, რომლებიც ვერ აღმოფხვრება ვერც ფულით და ვერც საორგანიზაციო სამუშაოებით. ეს ნაკლოვანებებია: მეთოდური საქმიანობის სურვილის არარსებობა, მოვალეობის არასაკმარისი გრძნობა, პასუხისმგებლობის შიში, ინიციატივის არარსებობა და სრული უუნარობა მართებულად განსაზღვრონ და გამოიყენონ დრო. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ნაკლოვანებებთან ერთად რუს ხალხს აქვს კარგი სამხედრო თვისებებიც. ეს თვისებები, პირველ რიგში, იმით აიხსნება, რომ რუსი ხალხი ცხრა მეათედით გლეხი ხალხია.

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

რუსი ჯარისკაცი ძლიერია, არაა პრეტენზიული და მამაცია, მაგრამ მოუქნელია. არაა დამოუკიდებელი და მოხერხებული. ის ადვილად კარგავს თავის კარგ თვისებებს უფროსთან, რომელსაც პირადად არ იცნობს და ასევე შენაერთებში, რომლებსაც შეჩვეული არაა.

ბოლო წლებში არმიაში მნიშვნელოვანი წარმატება ჰქონდა რევოლუციურ მისწრაფებებს, განსაკუთრებით ტექნიკურ ნაწილებში. თუმცა, ზოგადად, რუსი ჯარისკაცი ჯერ კიდევ ერთგულია მეფისა და საიმედოა.

გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგ ომი პოპულარული იქნება რუსეთის მოსახლეობაში, ხოლო რუსეთში მცხოვრები პოლონელები კი ხელისუფლებისათვის ნაკლებად საიმედოებად უნდა მივიჩნიოთ.

ოფიცრებს ახასიათებთ პირადი სიმამაცე, მაგრამ არ აქვთ მოვალეობის გრძნობა და პასუხისმგებლობა. საჭიროა ზემდგომი ხელმძღვანელობის მუდმივი კონტროლი ყველგან და ყოველთვის, რომ არ მოხდეს სამსახურეობრივი არეულობა. რუსი ოფიცრების უპირატესობაა

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ცივისსხლიანობა და მტკიცე ნერვები, რომლებიც მათ არ ღალატობს თვით ყველაზე მძიმე სიტუაციებშიც. მაგრამ რუს ოფიცერს ძალიან უყვარს პირადი კომფორტი, ზანტია ფიზიკურად და გონებრივად, არაა დამოუკიდებელი და უსუსურია მოულოდნელობებისას. რუსი ოფიცერი მზადაა წავიდეს საქმეზე, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებულ სიძნელესა და ხიფათთან, თუ ვარაუდობს, რომ ამის შესახებ ყველა გაიგებს. თუ ეს იმპულსი არ არსებობს, თვით ყველაზე საპასუხისმგებლო სიტუაციაშიც კი ის მოძებნის პირადად მისთვის ყველაზე მისაღებ გამოსავალს. გენერალური შტაბის ოფიცრები ბევრს მუშაობენ სამეცნიერო სფეროში.

რუსი ოფიცრები, განსაკუთრებით ვილნოსა და ვარშავის სამხედრო ოლქებში, კარგად არიან ინფორმირებული ჩვენი არმიის თვისებების, ორგანიზებულობის და ასევე ჩვენი სასაზღვრო პროვინციების გეოგრაფიული და საფორტიფიკაციო პირობების შესახებ.

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**



რუსებს დიდი უპირატესობა აქვთ, რადგან მათ შორის უფრო მეტია გერმანული ენის მცოდნე, ვიდრე ჩვენთან რუსულის. ბევრი რუსი ოფიცერი, მაგალითად ბალტიისპირეთიდან, თავისუფლად საუბრობს გერმანულად და ისინი სხვა ფორმაში თავისუფლად შეიძლება მიიჩნიონ გერმანელებად. ჩვენმა მეწინავე საგუშაგოებმა ამას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება რუსეთთან ომის შემთხვევაში.

რუსეთის არმიის გადაადგილება, ისევე როგორც ადრე, ხდება ძალიან ნელა. მეტნაკლებად დიდ რუსულ სამხედრო შენაერთს არ შეუძლია სწრაფად გადავიდეს თავდაცვიდან შეტევაზე ან სწრაფად შეცვალოს მოძრაობის მიმართულება. ამიტომ რუსებთან შეტაკებისას გერმანიის სარდლობა თამამად შეძლებს განახორციელოს მანევრი, რომელსაც ვერ გაბედავდა სხვა მოწინააღმდეგის შემთხვევაში.

საზღვრის გადალახვის შემდეგ სამხედრო ხელმძღვანელობას მოუწევს ანგარიში გაუწიოს სამხედრო

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მოქმედების თეატრის სრულიად განსხვავებულ პირობებს.

გზების ცუდი ხარისხი განპირობებულია მტკიცე სამშენებლო მასალის არქონით და დასახლებულ პუნქტებს შორის დიდი მანძილით. მაგარი საფარი აქვს მხოლოდ მაგისტრალებს, მაგრამ ისინიც ხშირად იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, რომ საავტომობილო და მძიმე ტრანსპორტი შეიძლება წააწყდეს დიდ სიძნელეებს. გრუნტის გზები ყველგან მოკლებულია საფარს. მათი ვარგისიანობა დამოკიდებულია ამინდსა და ნიადაგზე.

ჭაობებში ზაფხულში შეიძლება გავლა. ჭაობებში ხშირია ბილიკები, რომლებიც ვარგისია წელიწადის ნებისმიერ დროს, მაგრამ ეს ბილიკები ცნობილია მხოლოდ ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის და არ არის აღნიშნული რუკებზე.

გაუკაფავი დიდი ტყეები, რომლებსაც ხშირად ჭაობიანი ნიადაგი აქვს, ძალიან აფერხებს სამხედრო შენაერთების მოძრაობას.

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

ქალაქებშიც კი ცოტაა დიდი სახლები, ხოლო სოფლებში ისინი გვხვდება მხოლოდ მამულებსა და ხუტორებში. ჩვეულებრივი გლეხური ქოხი პატარაა და დაბალი. უმეტესად აქვს ერთი ოთახი, რომელშიც ცხოვრობენ ხშირად პირუტყვთან ერთად.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

გზებისა და საცხოვრებლების ხასიათი მხედველობაშია მისაღები, როდესაც განკარგულებები ეხება სალაშქრო მოძრაობებსა და დასასვენებლად განთავსებას.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

ტექსტი აღებული ვებგვერდიდან - <http://www.firstwar.info/articles/index.shtml?4>

### *კითხვები:*

(1) **31.1.** წყაროს მიხედვით, რაში არ ჩამოუვარდებოდა რუსეთის არმია ევროპის დიდი სახელმწიფოების არმიებს?

(1) **31.2.** თქვენი აზრით, რატომ ვრცელდებოდა რევოლუციური აზრები უფრო მეტად რუსეთის არმიის ტექნიკურ ნაწილებში?

(1) **31.3.** თქვენი აზრით, რატომ იქნებოდა რუსეთის მოსახლეობაში პოპულარული ომი გერმანიასა და ავსტრიასთან?

(1) **31.4.** წყაროს რომელი ცნობა მიუთითებს, რომ რუსეთის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას ძველებურად წამყვანი ადგილი ეჭირა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-4 გვერდზე](#)

- (1) **31.5.** წყაროს მიხედვით, რამ მისცა საშუალება რუსეთს, გაეუმჯობესებინა არმიის დაფინანსება?
- (1) **31.6.** წყაროს მიხედვით, რომელი სახელმწიფოების გამოცდილება იქნა გაზიარებული რუსეთის არმიის რეორგანიზაციისას?
- (2) **31.7.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების დადებითი თვისებები.
- (2) **31.8.** ახსენით, როგორ შეიძლება გამოეწვია ხელფასებისა და პენსიების ზრდას ოფიცერთა კორპუსის გაახალგაზრდაება და რაოდენობრივი ზრდა.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-4 გვერდზე](#)

(2) **31.9.** წყაროს მიხედვით, რომელი ერია მიჩნეული რუსეთის ხელისუფლებისათვის არასაიმედოდ და თქვენი აზრით, რატომ?

(2) **31.10.** დოკუმენტის მიხედვით, რუსეთის იმპერიის რომელ რეგიონში იყო გავრცელებული გერმანული ენა და დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ამას?

(2) **31.11.** წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კონკრეტული მიზეზები, რომლებსაც შეუძლია რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებებისას ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგის სამხედრო შენაერთების გადაადგილებას.

(2) **31.12.** დოკუმენტის მიხედვით, რა კონკრეტული მიზეზების გამო შეუძლია გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობას განახორციელოს მანევრი, რომელსაც სხვა მოწინააღმდეგესთან ვერ გაბედავდა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-4 გვერდზე](#)